დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 216 ოთხშაბათი, 30 სექტემბერი 1909 წ. № 216

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-უქმეების გარდა, დილის 9 საა[illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] დაგ მცირე წერილებს და კორე[illegible]ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

„დროების“ კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

გაზეთი აღარ ეგზავნება ყველას, ვისაც წლიური ფასი არა აქვს გადახდილი.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ქუთაისში ღრმა მწუხარებაში მყოფი ჭირისუფალნი **გაბრიელ და კირილე მიხეილის ძენი არჯევანიძენი, იუსტინა შოთაძისა, მატრონა ჯანელიძისა და ნინო მიხეილის ასულნი ყიფიანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უსაყვარლეს მამის

მიხეილ ივანეს ძის არჯევანიძისას.

გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, დღისით, საკუთარ სახლიდან პოლიციის ქ. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში. (1—კვ.—1)

ნატალია ანდრიას ასული შვილებითურთ და **ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გამოსვენება

გიორგი (გილო) ვახტანგის ძის მაჩაბლის

(ცხედრისა მოხდება ოთხშაბათს, 30 სექტემბერს, დილის 9 საათზე, განსვენებულის ბინიდან (მიხეილის ქ., № 111) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში), საიდანაც, წირვა-პანაშვიდის შემდეგ, ცხედარს დასაკრძალავად წაასვენებენ სოფ. დიდ-ლილოში. (1—477—1)

წარმოდგენა № 2. ქართული თეატრი წარმოდგენა № 2.

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ქ-ნ ან. ჩირგაძის და შ. შარაშიძის მონაწილეობით** პიესა სუვორინისა და ბურენინის

მედეა,

დრამა 5 მოქ. თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ქილარჯიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, შ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, მ. საფაროვი.

ადგილების ფასი. ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ექიმი აშირბაჯიანი“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

შავი-ქვის

მრეწველთა მე-12 კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, დ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

მე-12 მორიგი კრება შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა დებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—6.—1)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—77)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—25)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—11)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—17)

ექიმი ზ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ს. ვაშაყმაძე**

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—19)

ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. გელიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—19)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—18)

ექიმი ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—19)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

ექიმი კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—260)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—70

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟანაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირის და კბილების სენისა, პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—7)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **გ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ბ. ა. ძოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—168)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

- **მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- **ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
- **ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- **ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
- **მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
- **მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- **ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- **ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ოთახებისაგან. (100—ზალ.—17)

„ტფილისის სობრანიე“

„ტფ. სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო იწვევს იმათ, ვისაც სურთ მომავალ ზამთარს იკისრონ გათბობა „სობრანიეს“ საზამთრო სადგომისა, მანთაშევის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე, შემოიტანონ თავიანთი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით. განცხადებანი უნდა წარუდგინონ კანტორას არა უგვიანეს 1909 წლის 20 ოქტომბრისა. გათბობის პირობების გაგება შეიძლება „სობრანიეს“ კანტორაში ყოველ დღე, საღამოს 8—10 საათზე. (2—476—1)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო **„ლონდონის“** ახლოს). (25—6.—2„)

იყიდება ყველგან ახალი

ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“ Гачечиладзе. (30—6.—23)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ბატუმსკაია იზვესტია“-ს თანამშრომელს უსაუბრია სახ. სათათბიროს წევრის პ. ლ. შერვაშიძესთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს:

უკვე ორი წელიწადია, რაც სათათბირო მუშაობს, ორი წელიწადი ვარ მე სათათბიროში დეპუტატად და, მართალი გითხრათ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ქვეყანა ტყუილად მოელის რასმე დღევანდელ სათათბიროსაგან. ამისი მიზეზია მისი შემადგენლობა. რამდენადაც მეორე სათათბირო უკიდურესი რევოლუციონური იყო, იმდენად მესამე უკიდურესი რეაქციონურია. ამ სათათბიროს ისე უნდა უყურებდეს კაცი, როგორც სამინისტროს საგანგებო კანცელარიას. სათათბირო მოკლებულია იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ახასიათებს ყველა კონსტიტუციონალურ მონარქიების საკანონმდებლო დაწესებულებებს. უკიდურეს მემარჯვენეთ, რომელნიც თავიანთის რწმენის დაგვარად მოქმედებენ, სიმცირისა გამო გავლენა არა აქვთ სათათბიროს მუშაობაზე, მაგრამ ცენტრის წარმომადგენელნი მაინც შიშით მოქმედებენ: დარწმუნებულნი არიან, რომ ხელ-ახალ არჩევნების დროს იმათ არავინ აირჩევს, და რადგან სათათბიროდან გასვლის შემდეგ იმათთვის საჭიროა ადგილების მიღება, იძულებულნი არიან თავიანთი მოქმედება შეუთანხმონ მთავრობის სურვილსა და შეხედულებებს.

ამის შემდეგ თანამშრომელი შეეკითხა დეპუტატს—მომავალ სესიის განმავლობაში რა და რა თავისუფლების კანონ-პროექტს განიხილავს სათათბირო. შერვაშიძემ უპასუხა:

განა შეიძლება იოცნებოს კაცმა, რომ რომელიმე თავისუფლების კანონ-პროექტი მესამე სათათბიროს მიერ იქნება მიღებული? მემამულეთა და მოხელეთაგან შემდგარი სათათბიროს უმრავლესობა საკმაოდ დამფრთხალია განვლილ მოძრაობით, რომ მან ნება მისცეს რომელსამე კანონ-პროექტს თავისუფლების შესახებ. მისის აზრით, საკმარისია რუსეთს რაიმე თავისუფლება მიეცეს, რომ რევოლუციის ალმა კვლავ იფეთქოს.

საუბარი გადაიტანეს განაპირა ქვეყნებზე. შერვაშიძემ სთქვა:

სანამ არსებობს დღევანდელი უმრავლესობა, სათათბიროსაგან არაფერს უნდა მოველოდეთ. არ გავა არც ერთი ისეთი კანონ-პროექტი, რომლის მიზანიც ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. ეს უმრავლესობა ისე უყურებს კავკასიას, როგორც მტრის ბანაკს. ვერც ვორონცოვ-დაშკოვის მტკიცებით რწმუნდება სათათბიროს უმრავლესობა. რუსების გადმოსახლების პოლიტიკის გაძლიერება ჩვენში სათათბიროს საქმეა, წინააღმდეგ ვორონცოვ-დაშკოვისა. საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს და მე, სამოცის წლის მოხუცს, ძალიან მაშფოთებს ის, რაც ჩვენში ხდება. აფხაზეთში ადგილობრივი მკვიდრნი იდევნებიან და მათ ადგილზე შიდა რუსეთიდან გადმოსულთ ასახლებენ. 60 წელიწადი ვცხოვრობ საქართველოში და არას დროს ისეთი რამ არ გამიგონია, რასაც ეხლა „ნოვოე ვრემია“ და სხვა შავრაზმული გაზეთები სწერენ ჩვენზე. იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ გარეშე მტრები, რომელნიც თავს ესხმოდნენ საქართველოს განვლილ საუკუნოების განმავლობაში, გაცილებით უფრო ჰუმანიურები იყვნენ ჩვენ წინაპართადმი ვიდრე მესამე სათათბიროს უმრავლესობა. ადგილობრივ მკვიდრთ არსად იღებენ სამსახურში. საკმარისია ვინმე ჩაეწეროს „კავშირში“, რომ შესამჩნევი თანამდებობა მიიღოს.

გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა, რა გზას უნდა დაადგეთ და სათათბიროში როგორ უნდა მოიქცეთ ყველა ამ საკითხის შესახებაო. შერვაშიძემ აღნიშნა, რომ ქართველებს, როგორც ერს წარმომადგენელნი, არა ჰყავს სათათბიროში.

ნაციონალურ ჯგუფზე რომ არ ვილაპარაკოთ, მაჰმადიანთა ფრაქციას პეტერბურგში საგანგებო კანცელარია აქვს. იქ მუშაობს ყველა თვალსაჩინო მაჰმადიანი, ადგენენ კანონ-პროექტებს და ამით ეხმარებიან მაჰმადიანთა წარმომადგენლებს. ხოლო ჩვენ კი, საქართველოს წარმომადგენელნი, უბრალო ცნობებსაც კი ვერ ვიღებთ საქართველოდან. ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკებს შესძლოთ ფული გაეღოთ და პეტერბურგში შეენახათ რამდენიმე სპეციალისტი და ადგილობრივ ცხოვრების ვითარების მცოდნე პირი, რომელნიც დეპუტატებს დაეხმარებოდნენ.

ასე იწუნებს ორი წლის შემდეგ დეპუტატი მესამე სათათბიროს. ჩვენთვის აქ ახალი არაფერია. ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს, რომ დღევანდელ სათათბიროსაგან არაფერს არ უნდა მოელოდნენ არა თუ განაპირა ქვეყნები, არამედ შიდა რუსეთიც.

დეპეშები

(პეტ. ტ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

სპარსეთი

პეტერბურგი. რადგანაც ამ ბოლო დროს თავრიზში მშვიდობიანობა დამყარდა, ამიტომ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა თავრიზიდან რუსის ჯარის ნაწილი რუსეთში დააბრუნოს, მეორე ნაწილს რუსეთში დააბრუნებენ მაშინ, როდესაც რუსეთის მთავრობა დარწმუნდება, რომ თავრიზში ნამდვილი წესიერება და მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

ოსმალეთი

სტამბოლი. ალბანიის დამამშვიდებელი ჯავიდ-ფაშა პრიზრენიდან მიტროვიცაში გაემგზავრა. ჯავიდ-ფაშას თან მიჰყვება ჯარი.

ჯიდიდან იუწყებიან: ოსმალეთის ფლოტის ჩამოსვლისათანავე მახდი უდაბნოში გაიქცა.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: ალბანელების კომიტეტები შეუერთდნენ ბოლგარელების კომიტეტებს. ბოლგარელები და ალბანელები ერთად იმოქმედებენ ავტონომიის მოსაპოვებლად.

საზღვარ-გარეთ

სტოკჰოლმი. იმავ დღეს, რა დღესაც შვეციის საექსპორტო საზოგადოების დირექტორმა გრამმაფონტით ყუმბარა მიიღო, ასეთივე ამანათი მიიღო შეგოლმის ქარხნის დირექტორმა. ამანათის მიღების დროს დირექტორი სახლში არ იყო. დირექტორის შვილმა ეჭვის თვალით შეხედა ამანათს და გახსნის დროს საჭირო ზომები მიიღო. ამასთანავე ზოგიერთმა გაზეთებმა მიიღეს სოციალ-დემოკრატების სასამართლოს აღმასრულებელ კომიტეტის ხელმოწერილი წერილები.

პარიჟი. აქ ჩამოვიდა მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი. ბრიანმა საზოგადოების წინაშე გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან, სხვათა შორის, სთქვა: უკიდურეს პარტიების, როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების, გამოლაშქრება ვერ მაიძულებს წინ და წინვე არჩეულ გზა გადაუხვიო. საფრანგეთის ჯარი თავის დღეში არავის ნებას არ მისცემს მის სახელს, ან არსებობას შეეხნენ და თუ ესეთი უბედურება მოხდა, თვითეული ფრანგი თავის თავს მოვალედ ჩასთვლის საყვარელი სამშობლო დაიცვასო. საზოგადოება ბრიანის სიტყვას აღტაცებით მიეგება.

პეკინი. ევროპაში გაემგზავრნენ პრინცი ცაისუნი, პრინც-რეგენტის ძმა და ადმირალი სა-ჩენ-პიგი. ამათ აზრად აქვთ შეისწავლონ ევროპის სახელმწიფოების ფლოტების მდგომარეობა.

ჰაერში ფრენა

სოსკი. გუშინ, 28 სექტემბერს, გაფრინდა გრადე (გერმანელი). გრადემ 11 წუთსა და 22 წამში 13 კილომეტრი გაფრინდა.

ჟიუვიზი. (პარიზის ახლო) 28 სექტემბერს, ჰაეროპლანების გაჯიბრებას დაესწრო 200,000 კაცი. მინდვრიდან დაბრუნების შემდეგ ხალხმა სადგურზე არეულობა მოახდინა. მიზეზი ის არის, რომ რკინის გზის ადმინისტრაციამ მატარებლების მისვლა-მოსვლა დააგვიანა. ხალხი შეცვივდა სადგურის ოთახებში, დაამტვრია ავეჯეულობა, ფანჯრები და სხვა. დაშავებულია რამდენიმე კაცი.

არჩევნები

მოსკოვი. გათავდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები. პირველ კურიაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2926 კაცმა. აირჩიეს შჩეპკინი, კადეტი, რომელმაც მიიღო 1520 ხმა. ოქტომბრისტების კანდიდატმა შჩენკოვმა მიიღო 1129 ხმა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“—შმაკოვმა (?).

ოდესსა. მოხდა პირველ კურიიდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევანი. აირჩიეს ნაფიცი ვექილი ბროდსკი, კადეტი, 47 წლისა, ებრაელი, მიიღო 765 ხმა.

რუსეთი

მინსკი. ვარშავაში საფოსტო მატარებლის ჩამოსვლის დროს აღმოჩნდა, რომ უცნობებს გაეხვრიტათ საფოსტო ვაგონის სახურავი და წაეღოთ საფოსტო ამანათები.

კიევი. სამოსამართლო პალატა შეუდგა კიევის დამცველ პოლიციის უფროსად ნამყოფის ასლანოვის და აგენტ ზელლოს საქმის გარჩევას. ამათ ბრალდებათ სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა. გამოწვეულია 73 მოწმე.

კიევი. ოფიციალურად უარჰყოფენ საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაბეჭდილ ცნობას, ვითომ ამ უკანასკნელ დღეებში კიევში არეულობა მომხდარიყოს და ებრაელები აეწიოკებინოთ. კიევში წესიერება არავის დაურღვევია.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ განიხილა გაზეთ „ნოვაია

გაზეტას" რედაქტორის პოგოჟევის სააპელაციო საჩივარი. პოგოჟევს უჩიოდა გურკო, ცილი დამწამაო. ოლქის სასამართლომ პოგოჟევს ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. პალატამ პოგოჟევი გაამართლა.

მოსკოვი. ჟანდარმებმა აღმოაჩინეს ბრბო, რომელიც 1906 წლიდან ბრიანსკ-მოსკოვო-მალოიაროსლავეცის რკინის გზებზე მოქმედებდა. ამ ბრბოს უმთავრესად საქონლის მატარებლები უცარცვავს. ბრბოში შედიან რკინის გზის მოსამსახურეები.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებად უნივერსიტეტმა ამოირჩია: უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ბორგმანი და პროფესორები მაქსიმ კოვალევსკი და ოზეროვი.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ბრძანებით დაიკეტა რკინის გზის მოსამსახურეების ჟურნალი.

ხოლერა

პეტერბურგი. დღე-ღამეში ავად გახდა 37, გარდაიცვალა 30, ავად არის 346 კაცი.

ასტრახანი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2 კაცი.

გროდნო. ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

კიევი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 17 კაცი.

ჩერნიგოვი. სოფელ ნიკოლსკაიაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **„განათლების" საზოგადოების ქალთა სკოლა.** „განათლების" საზოგადოების ქალთა სკოლაში ამჟამად ორი პროგიმნაზიული კლასია და სამი მოსამზადებელი განყოფილება. სკოლაში სულ 104 მოწაფეა. აღსანიშნავია, რომ პროგიმნაზიულ კლასებში გაცილებით უფრო მეტი მოწაფეა, ვიდრე მოსამზადებელ განყოფილებაში. ეს აიხსნება იმით, რომ მშობლები სახლში ამზადებინებენ ბავშვებს და შემდეგ მეორე ან მესამე განყოფილებაში აბარებენ ხოლმე. წელს ბევრი მოწაფე მიიღეს სათ.-აზნაურო ქალთა სკოლიდან. საზოგადოების სკოლა არსებობს უმთავრესად კერძო შემოწირულებებითა და სწავლის ფულით. ყოველწლივ ზაფხულობით იმართება ხოლმე სეირნობა სკოლის სასარგებლოდ. სკოლაში ხელსაქმესაც ასწავლიან. სკოლის დამარსებელთ და ხელმძღვანელთ აზრადა აქვთ, პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულთათვის დაარსონ პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა. ამ ჟამად სკოლას ორი ჩულქის საქსოვი მანქანა აქვს დაქირავებული, ჰყავთ ქალები და აქსოვინებენ ჩულქებს. შემოსავალი ხმარდება სკოლის საჭიროებასა. მცირე შემოსავალი აქვს სკოლას, ეს შემოსავალიც თითქმის შემთხვევითის ხასიათისაა, მაგრამ სკოლის სულის ჩამდგმელნი მაინც გულს არ იტეხავენ და პირნათლად ემსახურებიან თავიანთ მოვალეობას. მასწავლებლები აქ გაცილებით ნაკლებ ჯამაგირებს იღებენ. ზოგიერთი, მაგ. ხატვისა—სულხანიშვილი, უსასყიდლოდ ასწავლის. სკოლის უმთავრესი მიზანია—სამშობლო ნიადაგზე აღზარდოს ქალები. თუ რამდენად მიაღწევს ამ მიზანს, მომავლის საქმეა; ჯერ კი უნდა ვსთქვათ, საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ დახმარების ხელი გაუწოდოს სკოლას და ზნეობრივი თანაგრძნობა გაუწიოს სკოლის გამგეთ.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 28 სექტემბრის სხდომაზე, გარდა წვრილმან საქმეებისა, რამდენიმე საყურადღებო მოხსენებაც განიხილა. სხვათა შორის, საბჭოს წარედგინა მოხსენება გამგეობისა ქალაქის სადეზინფექციო კამერის საჭიროებათათვის ორ ავტომობილის შეძენის შესახებ. გამგეობის გამოანგარიშებით ავტომობილების შენახვა უფრო იაფად დაუჯდება ქალაქს, ვიდრე ცხენებისა კარეტისათვის, და ამასთან ავტომობილებით უფრო სწრაფად და მოხერხებულად იმოქმედებს კამერა. გამგეობას რამდენისამე ფირმასთან ჰქონია მოლაპარაკება და გამოურკვევია, რომ 10,000 მანეთით ორი პატარა ავტომობილის შეძენა შეიძლება. საბჭომ დაადგინა მომავალ წლის აღრიცხვაში შეეტანოს 10,000 მან. ამ საქმისთვის. ამასთან გამგეობას დაევალა შედეგი ფირმებთან მოლაპარაკებისა მოხსენდეს საბჭოს. საბჭომ ნება დართო გამგეობას, შეიტანოს მიმდინარე წლის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში 25,000 მანეთი ავჭალაში წყლის მილის მანქანებისათვის გასახურებელ მასალის შესაძენად. ქალაქის გამგეობის წევრს ნ. ე. არგუთინსკის 7,200 მანეთად შეუძენია მამადავითში ახმადოვის ადგილი. ეს ადგილი მოხერხებულია ქალაქის სკოლის შენობისათვის. რადგან თავ. არგუთინსკის ნება არა ჰქონია საბჭოსაგან ამ ადგილის შეძენისა, გამგეობამ ამ დღეს შუამდგომლობა აღძრა საბჭოს წინაშე, მისცეს ამ ადგილის შეძენის ნება. გამოირკვა, რომ ადგილი იაფი და თანაც მოხერხებულია სკოლისთვის, ამიტომ საბჭომ დაადგინა, გადასდოს 7200 მან. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია თავ. ალ. მ. არგუთინსკის მოხსენებამ ტფილისის უძრავ ქონების ხელ-ახლად შეფასების შესახებ. ეს საკითხი თავ არგუთინსკიმ შარშანაც აღსძრა, მაგრამ საბჭომ უდროოდ სცნო ახალი დაფასება. ეხლა მომხსენებელმა მოკლედ მოაგონა საბჭოს შინაარსი წინანდელ თავის მოხსენებისა და აღნიშნა ის, თუ როგორ აიწია ტფილისში სახლის ქირამ. ბინა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად 500 მან. ღირდა, ეხლა 900—1200 მანეთად ქირავდება. მომხსენებლის აზრით, დაფასება 1910 წელს რომ დაიწყოს, შეიძლება 1911 წელს დასრულდეს. დამფასებელ კომიტეტის შტატის შესანახად საკმაო იქნება სულ 35,000 მან., რომელიც უნდა შეტანილ იქნეს 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. საბჭოში პრინციპიალური მოწინააღმდეგე მოხსენებისა თითქმის არავინ აღმოჩნდა. საბჭომ ერთხმად მიიღო თავ. არგუთინსკის მოხსენება და დაადგინა, გადასდოს 35,000 მან., დაევალოს გამგეობას შეუდგეს დამფასებელ კომიტეტის მოწვევას და შტატის შედგენას და 1910 წლიდან დაიწყოს დაფასება. 1910 წლის აღრიცხვაში დამფასებელ კომიტეტის ხარჯისათვის შეტანილ იქნება 24,000 მან. საბჭოს სხდომამ ღამის 12 საათამდე გასტანა. ამავე სხდომაზე საბჭომ ერთხმად დაადგინა, მიიღოს ანდერძი ალ. ს. მატინოვისა.

◆ **სამკურნალოს განყოფილება.** ტფილისის კერძო სამკურნალო, რომელიც ვოგზლის ქუჩაზეა, ხსნის თავის განყოფილებას ქსნიევის ქ. (ვეტცელის სასტუმროს მახლობლად) 30 საწოლით, ექ. ნ. მ. მელიქიშვილის ზედამხედველობით.

◆ **დაკეტილი სახელოსნოები.** სიონის უბანში 14 ხელოსანს ამას წინად ადმინისტრაციის განკარგულებით სახელოსნოები დაუკეტეს. მიზეზი ის იყო, რომ ამ სახელოსნოების წინ ამას წინად ბოროტგანზრახველებმა სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციელი. ხელოსნებმა მიმართეს ტფ. ქალაქის მოადგილეს და სთხოვეს შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე, რომ ნება მიეცეთ გახსნან სახელოსნოები.

◆ **მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენი.** როგორც ვიცით, ტფილისში არსებობს მცირე-წლოვან დამნაშავეთა დ მხმარებელი საზოგადოება. 1905 წელს საზოგადოებამ მოქმედება შესწყვიტა და ავჭალის ახალშენიც დღემდე დახურულია. ამ რამდენიმე ხნის წინად მოხდა საზოგადოების წევრთა კრება. ლაპარაკი იყო მოქმედების განახლებაზე. კრებამ დაადგინა, განაახლოს მოქმედება და 1910 წლის იანვრიდან ახალშენში მიიღოს მცირე წლოვანი დამნაშავენი. მოიწვევენ გამგეს ახალშენისას და შეადგენენ შტატს მასწავლებლებისა და ხელოსნებისას. საზოგადოებამ ქ. ტფილისის გამგეობასაც სთხოვა, განუახლოს ყოველწლიური შემწეობა საზოგადოებას. ქალაქი წინად საზოგადოებას წელიწადში 1000 მანეთს აძლევდა. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, 1910 წლიდან აძლიოს საზოგადოებას ეს ფული.

◆ **ჰაერის გამომკვლევი ბურთი.** ის ბურთი (შარი), რომელიც ტფ. ფიზიკურმა ობსერვატორიამ აუშვა ამას წინად ჰაერის გამოსაკვლევად, დაცემულა კახეთში, ქისტაურსა და ალვერდს შუა, ობოლაძის მამულში. ბურთი უნახავს და აუღია მწყემს ზაქრო გიგაურს. თელავის მაზრის უფროსმა უკვე აცნობა ობსერვატორიას ეს ამბავი.

◆ **ძეგლისთვის.** წ.-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ უკვე მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიიდან ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად 118 მან. 21 კაპ. მთავარმა გამგეობამ 12-მდე დაწესებულებას მოაგონა აღთქმული ფულის საჭიროება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ პასუხი არ მიუღია.

◆ **„ნაკადული".** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" ახალი ნომერი, მე-18 (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომერში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები და წერილები ნინო ნაკაშიძისა, თ. კანდელაკისა, ვ. თამროშვილისა, ა. ფაღავასი, ან. ამილახვრისა და სხვათა.

◆ **დაბრუნებული გადასახლებულები.** ტფ. სხვა და სხვა უბანში დაპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებულნი და შემდეგ თავიანთ ნებითვე დაბრუნებული შემდეგი პირები: ალი-მამად-ისკანდერ-ოღლი, მიხეილ ორჯონიკიძე, ვასილ კოქლიძე და ალექსანდრე ოლანეზოვი. 28 სექტემბერს ჩხრეკის დროს პოლიციის მეოთხე ნაწილში დაპატიმრეს 7 უპასპორტო კაცი.

◆ ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიის მშობელთა წრემ ცენტრალურ საბჭოში აირჩია დ. დავითაშვილი, მ. დ. აგლაძე და ა. ეგოროვი.

● 29 სექტემბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მომღერალ ქალის სვეტა-დე-ყორღანოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მექარხნე გროსეს მიერ მიქირავებულ პიანინოს გაყიდვა მტემბორგზე 150 მან. სვეტა-დე-ყორღანოვისამ უარჰყო ის ბრალდება ვითომ პიანინო გაეყიდოს და სთქვა, რომ მან მიაქირავა მტემბორგს მოწმების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო სვეტა-დე-ყორღანოვისა.

● ამავე დღეს ოლქის სასამართლომ განიხილა ტფ. მაზრის მცხოვრებთა იოლჩა მამედოღლის და ისხა მამედ-ოღლის საქმე. ამათ ჰბრალდებოდათ საქონლის მოპარვა და ტფილისში ჩამოყვანა გასასყიდად. სასამართლომ მოწმების გამოკითხვის შემდეგ იოლჩა მამედოღლი და გაამართლა, ხოლო ისხა მამედ-ოღლი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ერთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

● 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ძილის დროს გონჩარნი ქუჩის კუთხეში, ტოროსჩინის სახლში, მობინადრეს სამად ზულილ-ოღლის თავზე ჩამოენგრა ბინის ჭერი და კედლის ერთი ნაწილი. წლინახევრის ბავშვი მკვდარი გამოათრიეს ნანგრევებიდან, ხოლო დაშავებული სამად საექიმო დახმარება აღმოუჩინეს.

● ტფ. სადგურის წინ ბაღიდან 29 სექტემბერს ჩამომჯდარა დუშეთელი იაკობ გვრიტიშვილი. გვრიტიშვილის ჩასთვლემია, ამ დროს ჯიბგირებს ჯიბე გამოუჭრიათ, რომელშიაც მას 195 მან. ჰქონია. ჯიბგირები გრიგოლ ახალკაციშვილი და სერგო ბიბილაშვილი დაპატიმრეს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ წერილში: „ქართველ სტუდენტთა კავშირის გამო" შემდეგი შეცდომა შეპარულა: პირველი სვეტის მე-4 სტრიქონიდან დაბეჭდილია „საერთოდ [illegible]"; უნდა იყოს „საერთოდ [illegible]"; მე-2 სვეტის ბოლოდან მე-11 სტრიქონში არის „ეს წერილი" უნდა იყოს „ეს ნაწილი საზოგადოებისა"; ბოლოში: „უნივერსიტეტები თუ წინედ იყო გადაქცეული" უნდა ჩაემატოს „უნივერსიტეტი თუ წინედ იყო გადაქცეული რევოლიუციის არენად."

სპარსეთი

ურმიის ოლქის დამშვიდება.

ტფილისში მცხოვრებ სპარსელებს კერძო ცნობა მოუვიდათ ურმიიდან, რომ იქ სრული მშვიდობიანობა სუფევს, არეულობა სრულიად მოისპო და ხალხიც მადლიერია ახალის წესებისა და ახალის მთავრობისაო. იმ ხმებს, ვითომ ურმიის ოლქში და საზოგადოთ მთელ სპარსეთში დიდი არეულობა იყოს, განზრახ ავრცელებენ სპარსეთის მტრებიო.

შაჰის დანიშვნა.

სპარსეთის ახალგაზდა შაჰის დანიშვნაზე ჯერ ოფიციალური ცნობა არ მიუღიათ რუსეთის დიპლომატებს, ამ საქმეზე ერთს რუსის მცოდნე დიპლომატს უთქვამს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის:

— ჯერ არ ვიცით, მართლა დაინიშნა სპარსეთის ახალგაზდა შაჰი ოსმალეთის სულთნის ქალზე, თუ არა. მაგრამ თუ ეს ხმა გამართლდება და სპარსეთის შაჰი შეირთავს სულთნის ქალს, იცოდეთ, რომ ამ ქორწინებას მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვება: სხვა რომ არა ვსთქვათ, სპარსეთი უფრო მჭიდროდ დაუახლოვდება ოსმალეთს. ამ ორ სახელმწიფოს დაახლოვების საჭიროებას დიდი ხანია ქადაგებენ ოსმალელი და სპარსელი სახელმწიფო მოღვაწეები და ასეთ აზრს აბდულჰამიდის დროსვე ჰყავდა მომხრეები ოსმალეთის მთავრობის წრეებში. ამას გარდა, ეს ქორწინება მით იქნება საყურადღებო, რომ ეს პირველი მაგალითი იქნება ოსმალთა დინასტიის დანათესავებისა ყაჯართა დინასტიასთან.

ძველი და ახალი

(ნ. ნიკოლაძისა და გ. ზდანოვიჩის პოლემიკის გამო).

(შემდეგი *)

ამ გვარი რამ ეპატიება, რასაკვირველია, სულით დოხჭირსა და უბადრუკს კაცუნებს, რომელთაც გარდა პირად ბინძური ანგარიშებისა, არა ესმით-რა, მაგრამ როცა ამ ჯგუფში ვხედავთ ცნობილ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს, სწორედ მოგახსენოთ გული გვტკივა. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ჩვენში ცნობილია ისეთ ადამიანად, რომელიც თავის მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ გაურბის. ხშირად დიდის ნიჭის ადამიანებს სჩვევიათ ესა და ამ მხრით ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს ჩვეულებრივ კალაპოტში ვერ ჩავსვამთ, ჩვეულებრივის საზომავით ვერ გავზომავთ. იგი ისტორიას ეკუთვნის და ისტორია გაასამართლებს. ხოლო რაკი ცოცხალს კაცს არ შეუძლიან ანგარიში არ გაუწიოს იმას, რაც აღაშფოთებს, ამიტომ არ შეიძლება ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოქმედებასაც არ გაუტაროთ დღევანდელობის თვალთა ხედვის ისარი. პირველ ყოვლისა არც თუ ისე დიდია მიზანი ბ-ნ ნიკოლაძისა. მიზანი ფოთის ქალაქის საჭიროებისათვის მარგანეცის მრეწველთა ზურგიდან გადასახადის აღებისა, რომ ამის მისაღწევად ყოველ საშუალების ხმარების ნება ეძლეოდეს თვით ზეკაცებსაც-კი. მეორე ის, რომ მარგანეცის მრეწველთა საბჭოსთან ბრძოლასა აქვს პირადის შურისძიების ხასიათი, ხოლო საპირადო საქმისათვის ცუდ საქციელის ჩადენა, უნდა მოგახსენოთ, არც ერთის ისტორიისაგან არ იქნება მოწონებული. როცა მარგანეცის მრეწველთა საბჭო იბრძვის ფოთის ქალაქის მიერ დადებულ გადასახადის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ეს გარდასახადი მარგანეცის მრეწველის ჯიბეს აწვება, სრულიად კანონიერია ასეთი წინააღმდეგობა, ხოლო როცა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე იმის მაგიერ, რომ ხაზინას მოსთხოვოს ფოთის ნავთსადგურის გასაკეთებელი ფული, რადგან ხაზინა უამისოდაც ახდევინებს მარგანეცს ნავთსადგურის სასარგებლოდ გადასახადს, უამისოდაც გაქლილ მარგანეცის მრეწველობას კიდევ აჯარიმებს, რადგან მარგანეცის მრეწველებთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე ხაზინასთან და როცა ამასაც კი აღარ სჯერდება და იბრძვის საბჭოს გადასახადების მომატების წინააღმდეგ—ამას აღარა ვითარი აზრი არა აქვს, გარდა პირადის, ასე ვთქვათ, გაჯავრებისა. იმგვარ ლათაიებისათვის ტონის მიცემა-კი, რომ საბჭო „უვიც ქართველების" განათლებას ახმარებს მთელს თავისს შემოსავალსაო, არა გვგონია „დიდ ბუნებოვანისა", და „დიდის ნიჭის" პატრონის საკადრისი და შესაფერისი საქციელი იყოს. ხოლო ტონი ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ მისცა უეჭველად. პირველ ყოვლისა მისმა „მეგობრებმა" და „აგენტებმა" დაიწყეს იმ ჭორების გავრცელება პეტერბურგის კანცელარიებში, რომ საბჭო „რევოლიუციისათვის" ხარჯავს ფულსაო, და როცა ეს ბრალდება წარუდგინა ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს საბჭოს წარმომადგენელმა გ. ზდანოვიჩმა, პასუხად შემდეგი მიიღო: იმ აგენტებმა, რომელზედაც თქვენ ეჭვი გაქვთ (აქ ბუნგეზეა ლაპარაკი. ამ ბუნგეს განსაკუთრებული ინტერესები აქვს ფოთის ნავთ-სადგურში), „ჩემზედ ნაკლებ არ იციან და იცნობენ ჩვენებურს საქმეებსა და ჩვენს მოღვაწეებსაო.[1]) ფაქტიურად მან პასუხის მაგიერ, ეჭვით აღსავსე სიტყვები წამოისროლა და დაადასტურა „აგენტების" მიერ გავრცელებული ჭორები, ე. ი. თუ ეს „აგენტები" თქვენს შესახებ რასმე ავრცელებენ, თვით კარგად გიცნობენ და იციან თქვენი საქმეები და, მაშასადამე, „ჭორების" საფუძვლიანობაში ეჭვიც არავის არ უნდა აღეძრასო.[2]) ამასვე მხოლოდ სხვა ფორმით თვით ბ-ნი ნიკოლაძეც კი სწერდა ერთ-ერთ წერილში: საბჭო მთელს თავისს შემოსავალს 300—400000 მანეთს „ძველ-მოქმედებას" ანდომებსო. აბა, მოდი და ნუ იფიქრებთ, რა უნდა იყოს ასეთი უცნაური „ძველ-მოქმედება", რომელზედაც ამდენი ფული იხარჯება, თუ არ რაღაც „საეჭვო" და თუ არ „უვიც ქართველთა" განათლების საქმე.

ჩვენ ზემოდ ვნახეთ, საბჭოს შემოსავლის რა უმნიშვნელო ნაწილი იხარჯება ყოველ გვარ „ძველ-მოქმედებაზე"—სხვა და სხვა ფერის „ჯვრებიდან" დაწყებული (სულ 0,88%) და აგრეთვე „უვიც ქართველთა" განათლებაზე (სულ 10%-ის ნაკლები). მაგრამ ასეთი სიტყვები ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა, გამოცდილის პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწისა, თვით უფრო დინჯს და გონიერ ადამიანსაც კი შეაშფოთებს, არა თუ გაგიჟებულ მარკოვებს, პურიშკევიჩებს და ძმათა მისთა[3]). რასაკვირველია, თუ „უვიც ქართველებისათვის" განათლებაც კი აკრძალულია, მით უმეტეს აბა რაიმე ნასახს თვითმმართველობისას ახლოსაც ვინ მიაკარებს. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამ შემთხვევის გამოც „ძველის კანცელარიების" ენით ლაპარაკობს. „ძველისა" მეთქი, ვიმეორებ, თორემ კავკასიის დღევანდელ უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ხომ დაჟინებითაც კი თხოულობს ქართველებისთვის და საზოგადოდ კავკასიის აქეთა მხრისათვის თვით მმართველობას.

ბ-ნ ნ. ნიკოლაძე „წარბ-შეუხრელად" გვარწმუნებს თავის „სასახელო" ბროშიურაში, რომ ჩვენ, ქართველებს, უკვე გვქონდა მრავალი „სერიოზული ავტონომია", როგორც, მაგ., „ბანკები", „ქალაქის თვითმმართველობა", „დეპუტატთა საკრებულო" და სხვა. ამ ავტონომიურ გამგეობის საქმეებში „**ჩარევა არ უფიქრიაო თავისდღეში არც ერთ მთავრობას** (ხაზი ჩვენია), მაგრამ ჩვენის საზოგადო საქმეების მოწესრიგებაში, უვიცობის წყალობით, თვით ჩვენ გამოვიწვიეთ აპეკა"[4]). დამეთანხმებით, რომ ეს „ძველის კანცელიარების" ენაა, და თუ ესეც საეჭვოა თქვენთვის ამ ციტატების წაკითხვის შემდეგ—უეჭველი უნდა შეიქმნეს, როცა დაინახავთ, თუ რა როლს ასრულებდა ბ-ნი ნიკოლაძე და რაებს სჩადიოდა, როცა მარგანეცის მრეწველთა საქმეებში ჩარევა მოიწადინა.

„ძველ-მოქმედებაზე" განგაშმა, რომელიც „რევოლიუციის" სიმბოლოდა და პაროლად გადაიქცა საბჭოს რეაქციონურ მტერთა ბანაკში, გამოიწვია საბჭოს საქმეთა განსაკუთრებული რევიზია, რომელიც დამთავრდა „მედანოსე-

---

*) იხ. „დროება" N 215.

[1]) იხილეთ ბ-ნ ნიკოლაძის ბროშიურა: „полукопѣечный сборъ", გამ. ფოთში, 1908 წ., გვ. 30. ეს ბროშიურა „სამარცხვინო ეპილოგია" ბ-ნ ნიკოლაძის საზოგადო და პუბლიცისტიურის მოღვაწეობისა. ბ-ნ ნიკოლაძეს არ უნდა ეკისრებია დაცინვით მოეხსენებინა ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, როგორიც არის სპარსეთის რევოლიუცია. ვერ უნდა გაებედნა გუბერნატორის, და ისიც ზოგიერთის გუბერნატორის, კანცელიარიის ცინიკურის კილოთი მეჭხებოდა ქართველის ერის საწადელს საგანს, მის ისტორიულ უფლებებს (იხ. გ. XIII და XIV იქვე) უცნაური და სამწუხარო „ეპიტავია" წარუხოცელ ჩირქსა სცხებს იმის სახელს, როგორც **ქართველის მწერლისა და პუბლიცისტის** და ამ ჩირქს, საუბედუროდ, ვერ მორეცხს ვერავითარი მისი გამარჯვება ქუთაისსა და გინდ პეტერბურგის კანცელიარიებში... რასაკვირველია, თუ ბ-ნ ნიკოლაძეს არ დააკმაყოფილებს ისეთი კლაკიორები, როგორც არის მისი მოქალაქე ზუმარაძე.

[2] იხ. ხსენებული ბროშ., გვ. 28-30. ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ასეთს კეკე-მალულობასაც გვეთამაშება და ბაღლადა გვთვლის, როცა ერთ თავის წერილში გვეუბნება («Закавказье» N 85 ამა წლისა): „Я уже не говорю про то, какой прiемъ ждалъ меня въ „сферахъ", если бы я осмѣлился замкнуться предъ государственными людьми и учрежденiями о чьей либо неблагонадежности. Не трудно сообразить, что я былъ бы выпровоженъ" და სხვ. („აღარას ვამბობ იმის შესახებ, თუ როგორ მიმიღებდნენ „სფერებში", რომ გამებედნა და კრინტი დამეძრა სახელმწიფო მოღვაწეთა და დაწესებულებათა წინაშე ვისიმე არა კეთილ საიმედობის შესახებ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ გარეთ გამომაგდებდნენ" და სხვ.) ბ-ნ ნიკოლაძეს არა მგონია სჯეროდეს, რომ იქ, სადაც დაკანონებულია მთელი ქსელი პროვოკატორებისა, სადაც «სახელმწიფო მოღვაწენი» გულ-ახდილად და თამამად იცავენ პროვოკატორობას, იქ ვისმე «გარედ გამოაგდებდნენ», თუ კი ვისიმე არა კეთილ საიმედობაზედ მიუთითებს. და აგრეც გახლდათ. თვით „სახელმწიფო მოღვაწეებისაგან" გაუგონიათ საბჭოს წარმომადგენლებს, რომ მოხსენებას არ გვაძლევენ, საბჭო „რევოლიუციაზედ" ხარჯავს ფულსაო და ამგვარმა ჩურჩულმა, კარგად იცით, განსაკუთრებული რევიზიაც გამოიწვია საბჭოს საქმეებისა და არა «შემსმენელთა» გარედ გაგდება.

[3]) ამ «კამპანიაზედ» „სხვა-გვარი" გავლენაც უნდა ჰქონდეს ბ-ნ ნიკოლაძეს. დეპუტატმა გეგეჭკორმა პირდაპირ საეჭვოდ აღიარა დეპ. მარკოვის საქციელი ფოთის სასარგებლოდ მარგანეცზედ დაწესებულ გარდასახადის საქმეში; საეჭვოდ მიიჩნია ამ ურცხვის კაცის თავგამოდებული ვექილობა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის საქმეებისა და ამის უარის საყოფელად მარკოვს კრინტიც არ დაუძრავს. (იხ. „Кавказскiй запросъ", ნომერი 5 თებერ. 1909 წ.). მაგრამ ბ-ნმა ნიკოლაძემ უცბად მონახა გამოსავალი გზა—რა, მერეც რომ იყოს, ჩემის პირადის ინტერესისათვის ხომ არა ვხმარობ ურიგო საშუალებასაო.

[4]) იხ. „полук. сб.", გვ. XIII და XIV: „Была у насъ, за мое время, масса очень не пустыхъ автономiй. Не говоря уже о сванетской и Мингрельской, полно-правныхъ (sic!!), вспомнимъ ну хоть про автономiю нашихъ земельныхъ банковъ (ღმერთო ჩემო!), что же мы съ этой автономiей (ე. ი. ბანკების) сдѣлали?.. разорили самые Банки (არა მგონია, ტფილისის ბანკი დაეღუპოს) и вызудили правительство (ხაზი ჩვენია) установить за нами свой контроль.., т. е. достигли ограниченiя нашей автономiи ბანკის გამგეობისთვის „ავტონომიის" მიტაცება მოსამზადებლის კლასის ბავშვსაც აღარ ეკადრება დღევანდელ დღეს). Такая же участь постигла всѣ наши автономныя, или полуавтономныя учрежденiя—Взаимные Кредиты, Городскiя Управы, Депутатскiя Собранiя и. т. п. (ხაზი ყველგან ჩვენია. De grâce! ბ-ნო ნიკოლაძევ! აღარც ისეთი უსუსური გახლავართ, რომ ამგვარმა „კანცელიარიის" გალობამ მოგვხიბლოს და მოგვატყუოს! Въ ихъ дѣла никакая власть никогда не вмѣшивалась и вмѣшиваться не думала, пока мы сами, своимъ неумѣнiемъ вести общественныя дѣла.... не довели себя до учрежденiя надъ нами опеки"... აი, ისტორია და აი პუბლიცისტკა! ისტორია „გუბერნატორების" მოხსენებებზე დამყარებული და პუბლიცისტკა, რომელსაც მაღლა უდის მტრის ხელი.

ქართველ სტუდენტთა კავშირის გამო

(შემდეგი *)

ამ კულტურულმა მოძრაობამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში განსაკუთრებული ხასიათი მიიღო როგორც თავისი სიძლიერით, ისე თვისებით. ასეც უნდა მომხდარიყო. ამ მუშაობამ ჩვენში, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალური ხასიათი მიიღო—ჩამოესხა ნაციონალურ ფორმებში და ამასთან ქართველ ხალხის განსაკუთრებულმა პირობებმა, რომელიც, სხვათა შორის გამოიხატება ყოველ ქართულის სისტემატიურად დევნაში (სწავლა-განათლების საქმე, მიწის მობილიზაცია, ენა და სხვა), მოითხოვა ჩვენის კულტურულ მუშაობის მესვეურთაგან გაორკეცებული ენერგია და ცოდნა. ეს თვისებანი კი მომეტებულ ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას მეტად ნაკლებ აღმოჩნდა; ხოლო უამისოდ იგი უძლური იყო რამე სასარგებლო საქმე გაეკეთებინა. ეს ცხადზე-უცხადესი შეიქნა განვლილ რევოლუციის შემდეგ და განსაკუთრებით დღევანდელ რეაქციონურ ხანის დასაწყის დროს ჩვენი ხალხის „დასამშვიდებლად" მიღებულმა განსაკუთრებულმა ზომებმა ხომ ბრმებსაც კი თვალი აუხილეს და თავზე ხელი მოასმევინეს. გამოჩნდა რა უძლურობა ჩვენის ინტელიგენციის მომეტებულ ნაწილისა კულტურულ სფერაში, სადაც დიდრონ სიტყვებსა და კოსმოპოლიტურ აზრების გარდა ნამდვილი ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება იყო საჭირო, საუკეთესო ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა ღრმად ჩააფიქრა ამ არა სასიამოვნო მოვლენამ და ბუნებრივად იწყო ამ მოვლენის ახსნა და მიზეზის ძიება; ამ მხრივ დიდად გაისარჯა ჩვენი ქართული პრესა. გამოირკვა რომ ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენის ინტელიგენციის უვარგისობისა არის ხალხისაგან დაშორება, თითქმის სრული შეუგნებლობა ამ ხალხის ინტერესებისა და უცოდინარობა მასსის ცხოვრების პირობებისა: ამ დაშორების მიზეზი კი იგივე გამარუსებელ პოლიტიკის ნაყოფია, რომელიც გამოიხატება ახალგაზდობის დაშორებაში სამშობლო ნიადაგს, მის სხვა ენაზე და სხვა ატმოსფერაში აღზდაში. რასაკვირველია, აქედან ბუნებრივი იყო, რომ ვისაც კი რამეს გაკეთება სურდა, უნდა მიექცია ყველა ზემოდ ნათქვამისთვის ყურადღება და შესაფერი ანგარიში გაეწია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მიზეზებს ჰქონდა საერთოთ მოსწავლე ახალთაობისთვის და უფრო კი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის, რომელთა შორისაც მზადდება მომეტებული ნაწილი ჩვენის დღევანდელ ინტელიგენციისა; მართლაც, მალე ერთი ნაწილი ჩვენის სტუდენტობისა ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, იწყო მასზე მსჯელობა სიტყვით და წერით, გამოსთქვა თავისი აზრი როგორც საერთოდ ქართველ ხალხის მდგომარეობაზე და იმის საჭიროებაზე, ისე ქართ. სტუდენტობაზე და იმის არა ნორმალურ პირობებზე და იმ გზაზე, რომელიც საჭიროა, მისის აზრით, ამ არა ნორმალურ პირობების შესამსუბუქებლად. მისი აზრი ნიადაგიანი აღმოჩნდა და დღეს მორიგ საკითხად გადაიქცა ქართ. სტ—თა ცხოვრებაში.

კავშირის საკითხი, რასაკვირველია, უცბად არ გადიქცა მორიგ საკითხად ქართველ სტ—ში კულტურულ მუშაობის საჭიროების აღიარების დღიდან ქართ. სტუდენტობა პირველ ხანებში მთელ სტუდენტობასთან ერთად ჩაება საერთო ფერხულში და სხვა და სხვა სამეცნიერო ჯგუფებში იღებდა მონაწილეობას. მალე, თითქმის ამავე ხანაში, ზოგიერთ საუნივერსიტეტო ქალაქში ქართველმა სტ—ობამ საჭიროდ სცნო ქართულ წრეების დაარსება სხვა და სხვა მიზნით. მაგ., ხარკოვსა და ოდესაში ისინი შეერთდნენ კულტურულ-ეკონომიურ ნიადაგზე, მიმართულების განურჩევლად, პეტერბურგში და მოსკოვში მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. ამავე დროს დაარსდა დერპტსა და ტომსკში ეგრედ წოდებული კავკასიური წრეები, სადაც ამავე დროს პარალელურად არსებობდა ქართული წრეებიც კულტურულ-ეკონომიურ ნიადაგზე აშენებული, კავკასიურში კი შედიოდნენ ისეთი სტუდენტები, რომელთაც კულტურული მუშაობა ნაციონალურ ნიადაგზე შეუძლებლად მიაჩნდათ. ასეთი სტუდენტთა რიცხვი ძალიან მცირე იყო, ისე რომ დღეს მხოლოდ დერპტში და შედიან ქართ. სტუდენტები კავკასიურ წრეში. ცოტა ხნის შემდეგ ჯერ მოსკოვში და მერე პეტერბურგში დაარსდა ქართ. სამეცნიერო ჯგუფები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებს ყველა მსურველი ქარ. სტუდენტი, მიმართულების განურჩევლად. მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე აშენებულმა ქართ. წრემ ვეღარ დააკმაყოფილა ყველა ქართველი სტუდენტი. ამათვე მიბაძა კიევის ქარ. სტუდენტობამ, სადაც შარშანდლიდან დაარსეს „ქართულ კულტურის" მოყვარულთა ჯგუფი. ასეთივე ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების დაარსებას სცდილობდნენ შარშან ოდესაში და თუ ვერ განხორციელდა ეს მხოლოდ ოდესის ცნობილ პირობებისა გამო.

ასეთი იყო გარეგნული სახე ჩვენის სტუდენტების ცხოვრებისა „კულტურულ მუშაობის" საჭიროების აღიარებიდან დღემდე კავშირის შექმნის საჭიროების გადაწყვეტამდე. თვით შინაარსი ქარ. სტ—თა ცხოვრებისა ამ ხნის განმავლობაში ამგვარი იყო: პირველ ხანს, ვიდრე უნივერსიტეტებში თავისუფლად შეიძლებოდა რეფერატების კითხვა, ჩვენი სტუდენტების მომეტებული წილი, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მონაწილეობას იღებდა თუ აქტიურად არა, პასსიურად მაინც. შემდეგ შვარცის კანონების განხორციელებისა, ერთი ნაწილი ქ. ს—ისა, რომელიც უფრო სუსტის ხასიათის აღმოჩნდა, მიეცა ფუქსავატ ცხოვრებას და სხვა და სხვა გვარ დროს გატარებას, და უკეთეს შემთხვევაში თავის ლექციების ზუბრას. ზოგი ამათგანი ხომ იქამდისაც-კი მივიდა თავის უხასიათობით, რომ „შეშ. რუსთა კავშირშიაც" ჩაეწერა. ერთის სიტყვით, ამ ნაწილს ჩვენის სტუდენტობისას ან სულ არ აინტერესებდა საზოგადო საქმე, ან თუ აინტერესებდა, მეტად ცუდად ჰქონდათ შეგნებული იგი, რადგან უძლური იყო ჩაჰკვირვებოდა ახალ პირობებს და ამის და გვარად სწორ გზას დასდგომოდა. ეს ნაწილი სტუდენტობისა-კი ძალიან საგრძნობელ რიცხვს წარმოადგენს ჩვენში. ის დანარჩენი ნაწილი ჩვენის ამხანაგობისა, რომელსაც უფრო ნათლად ჰქონდა შეგნებული დღევანდელი მომენტი და მისი მოთხოვნილებანი, ზნეობრივად მოვალე იყო ჩარეული იყო საქმეში და ისეთი რამ გზა აღმოეჩინა, რომელიც დანარჩენთაც ფუქსავატს ცხოვრებიდან დაიხსნიდა. ამისთვის საჭირო იყო ისეთ ცხოველ რამის შექმნა, რაიც ამ უკანასკნელთაც დააინტერესებდა და პარტიულ სხვა და სხვაობაც ხელს არ შეუშლიდა. ხოლო ის მინიმუმი, რის გარშემოც შეეძლოთ ქართ. სტ.—ობას თავი მოეყარა, იყო ლოზუნგი, მოცემული საუკეთესო ინტელ. მიერ და შეფარდებული ქართულ ცხოვრებასთან. საჭირო იყო მხოლოდ ისეთ ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეეფერებოდა ქარ. სტ.—თა განსაკუთრებულ პირობებს. ეს განსაკუთრებული პირობები კი მოითხოვდა მათგან, როგორც მოსწავლეთაგან, უმთავრესი ყურადღება მიექციათ თვით განვითარება-ცოდნაშეძენისათვის და რადგან მომეტებულს ნაწილს მოუხდება სამშობლოში მოქმედება, ამიტომ მას უნდა მისცემოდა ეროვნული ხასიათი. ხოლო ამისთვის გარდა იმ ცოდნისა, რომელსაც თეორიული ქ. სტ—ი იძენს უნივერსიტეტში, საჭიროა დაუმატოს ქართულ ცხოვრების შესწავლაც: ქართ. ისტორია, ლიტერატურა, ძველი იურისპრუდენცია, ეკონომიური მხარე ჩვენის ცხოვრებისა და სხვ; განსაკუთრებით კი ქართ. ენა,ურომლისოდაც თავის სპეციალურ საგნის შესწავლაც შესაფერ ნაყოფს ვერ მოუტანს. მაგრამ რაკი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი თეორეტიული შესწავლა-მეცადინეობა უფრო ნაყოფიერი და ცხოველია, როცა პარალელურად თანა სდევს პრაქტიკული მუშაობაც, ამიტომ საჭიროა ზაფხულობით ფუქსავატ დროს ტარების ნაცვლად (რაც არა ერთხელ სამართლიანად აღნიშნულა ჩვენს გაზეთებში ჩვენი სტ—ბის შესახებ), თეორეტიულად შესწავლილის ადგილობრივ ცხოვრებაში გატარება. ვისაც შეეძლება რომელიმე საგნიდან ლექციების წაკითხვა, სტატისტიკურ ცნობების შეკრება, პირველ-დაწყებით სწავლის გავრცელება, ბიბლიოთეკის დაარსება, წარმოდგენების გამართვა და სხვა. ეს კი შეძლებას მისცემს ყველას პირადად ჩაიხედოს ქართულ ცხოვრებაში და, მაშასადამე, უფრო უკეთ შეისწავლოს იგი, სულიერ ერთობასაც შექმნის მომუშავეთა შორის და, ამგვარად, დაახლოვებს ერთმანეთთან რუსეთის იმპერიაში დაბნეულ სტუდენტობას და ამასთან, რაც უფრო საგრძნობელია და განმაცხოველებელი, თვით ხალხსაც სარგებლობას მოუტანს და დახმარებას გაუწევს ჩვენს მცირე-რიცხოვან ინტელიგენციას. ასეთი ორგვარი უნდა იყოს კულტურული მუშაობა ჩვენის ქართვ. სტ—ობისა. ამას უკარნახებს მისი ცხოვრების პირობები. ამას გარდა, არის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც შეუძლიან შეაერთოს ჩვენი ქ. სტ—ბა —ეს არის ეკონომიური მხარე, მატერიალური დახმარება, რომელიც დღეს ასე უსამართლოდ არის განაწილებული. ამ საქმის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი თვით სტ—ობის ხელში გადავა.

გ. დაფქვიაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „დროება" N 225.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. ჩვენის აზრით, დიდი დანაშაულობაა ახალგაზრდა, გამოუცდელ მსახიობის გამოშვება სადებიუტოდ ისეთ როლში, როგორიც არის ქეთევანი. კერძოდ ჩვენ, თხუთმეტი წელიწადია ქართულ სცენაზე „სამშობლოსა" ვხედავთ. გვინახავს ამ როლში განსვენებული ბ. ავალიშვილისა, აგრეთვე ეფ. მესხი, ნ. ჩხეიძე, ა. კარგარეთელი და მრავალი სხვა, კარგი და ცუდი მსახიობი, მაგრამ არ გვახსოვს, რომ რომელსამე მათგანს ამ როლში საზოგადოების ყურადღება მიექციოს. ვფიქრობთ, რომ არც ერთი ნიჭიერი და დაკვირვებული მსახიობი არ იკისრებს ამ როლის თავის ნებით ასრულებას. ადვილი გასაგებიც არის ეს: ქეთევანი ხელ-ფეხ შებოჭილია, მას გრძნობებისა და სულიერ ტანჯვის გამოთქმის სახსარი არა აქვს. ავტორს ანუ, უკედ, ავტორებს უნდოდათ ქეთევანის წყალობით ღალატი შეექმნათ, რომ მთავარ მომქმედ პირებისთვის სამირო ასპარეზი გაეხსნათ. მაგრამ იმის მაგიერ, რომ ღალატის სარჩულად უბრალო რამ მოტივი გაეხადათ, მათ აიღეს რთული ფსიხოლოგიური ვითარება—დაუპირდაპირეს ერთმანეთს ძლიერი სიყვარული და მოვალეობა, ხოლო ამ ვითარებას გამოთქმის, გამოაშკარავების და დასაბუთების ნება არ მისცეს. ამიტომაც არის, რომ მთელის ხუთი მოქმედების განმავლობაში ქეთევანი მარტო დარბის სცენაზე და ნაწყვეტ სიტყვებს ისვრის. არც ერთი მონოლოგი, არც ერთი ძლიერი სცენა ქეთევანისთვის! ქეთევანს უყვარს გატაცებით, გაგიჟებით ლევანი. მეორესმხრივ სძულს სიმონი. ჰგრძნობს კიდეც თავის მდგომარეობის არა ჩვეულებრიობას და საქციელის არა პატიოსნებას, მაგრამ გამოთქმის, თავის გამართლების, სიყვარულისა და სიძულვილის გამოფენის გზა არა აქვს. ვერც ერთი ძლიერი მსახიობი ამ როლში ფრთას ვერ გაშლის, ვერ გვიჩვენებს თავის სულიერ სიძლიერეს.

და, რაღა თქმა უნდა, არც ქ-ნ კოლხიდელს შეეძლო, ამ როლში თავისი ნიჭი და სასცენო უნარი გამოეჩინა. როლის ნაკლებობას ზედ დაერთო დებიუტანტის საშინელი მღელვარება, რაც ადვილი ასახსნელია. ამ მღელვარებას ქ-ნმა კოლხიდელმა პიესის გათავებამდე ვერ დააღწია თავი. უნდა დაურთოთ ისიც, რომ ქ-ნ კოლხიდელის პარტნიორი, ლევან ხიმშიაშვილის როლის ამსრულებელი, ბ-ნი შარაშიძეც, მასავით გამოუცდელი მოთამაშე იყო. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ძნელია რისამე თქმა დებიუტანტზე — გვეშინიან პირველმა შთაბეჭდილებამ შეცდომაში არ შეგვიყვანოს. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ კარგი მხარეები დებიუტანტისა: თავი სცენაზე შედარებით თავისუფლად უჭირავს, ქართულს წმინდად ლაპარაკობს, გამოთქმა მკაფიო აქვს, ეტყობა მდიდარ მიმიკის ნასახობა.

ვნახოთ შემდეგი წარმოდგენები რას მოგვიტანენ.

ბ-ნი შარაშიძე ამ საღამოთი ლევან. ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა. თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან როლი სუსტად ჩაატარა. საზოგადოდ, შარაშიძე სულ წმინდად გამოუცდელია სცენისათვის: ჯერ-ჯერობით ხმას ვერ იმორჩილებს, სიარული არ ეხერხება, ზოგგან გადაჭარბებულ მღელვარებას იჩენს, ზოგგან კიდევ—უმოქმედობას და უმოძრაობას; ხშირად ეტყობა ყოყმანი, გაუბედაობა—არ იცის როგორ მოიქცეს, როგორ ისაუბროს... მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მაინც თამამად ვამბობთ, რომ შარაშიძე ნიჭის პატრონია. მასში მდიდარი მასალაა ნამდვილ არტისტის შესაქმნელად. ეხლაც-კი, ზოგიერთ მომენტებში, შარაშიძეს მაყურებლის გატაცება შეუძლიან, იმდენად ძლიერი ბუნების პატრონია იგი. საჭიროა მხოლოდ მასწავლებელი, მცოდნე რეჟისორი, რომ ნამდვილ გზაზე დააყენოს ეს ნიჭი, გააშალაშინოს, გააკეთილშობილოს.

დანარჩენ მოთამაშეებზე და საერთოდ წარმოდგენაზე არაფერს ვამბობთ, რადგან ყველანი და ყველაფერი ჩვეულებრივი იყო.

სასამართლო

სომეხ-თათართა შეტაკება ბაქოში

როგორც [illegible] სამოსამართლო [illegible] პოლიცმეისტრად ნამყოფის კაპიტან დემინსკის, ბოქაულებად ნამყოფების მამედბეკოვის და ბოროდინის, ბოქაულის ნიჟარაძის, ბოქაულის თანაშემწის სულთანოვისა, უბნის ზედამხედველად ნამყოფის შახტაჟინსკის და ბალახნის პოლიცმეისტრად ნამყოფის ხომიცკის საქმის გარჩევას. საქმე ქალაქ ბაქოში ირჩევა. ზემოდჩამოთვლილ პირებს საბრალმდებლო ოქმით შემდეგი ბრალდებათ:

1905 წელს, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, სომხეთა ტაძრის მახლობლად სომხებმა დემონსტრატიულად მოჰკლეს მდიდარი და გავლენიანი თათარი აზიზ-ბაბაევი. თათრებმა ბაბაევის გვამი ბაქოს დიდ ქუჩაზე გაატარეს. ბაბაევის მოკვლისათანავე ქალაქში ხმა გავრცელდა, მოსალოდნელია თათარ-სომეხთა შეტაკებაო. ბაქოს პოლიცმეისტერმა კაპიტანმა დემინსკიმ მოითხოვა ჯარის ქუჩებში გამოყვანა, მაგრამ მან მთავრობას არ შეატყობინა, თუ რა შიში მოელით მცხოვრებთ და რა უბედურება დატრიალდება. როდესაც დემინსკი პარაპეტზე მივიდა (პარაპეტზე მოჰკლეს სომხებმა ბაბაევი), თათრებს უკვე წაეღოთ ბაბაევის გვამი. დემინსკის სიტყვით, პარაპეტი სავსე იყო სომხობით. პარაპეტზე გამოგზავნეს ლაბინსკის პოლკის ყაზახთა ორი სოტნა. ყაზახთა ერთი სოტნა გაიგზავნა ციხეში, სადაც ნაშუადღევის 4 საათამდის უმოქმედოდ იდგა და შემდეგ ყაზარმებში დაბრუნდა, მეორე სოტნა კი დაჰყვეს პატარ-პატარა ნაწილებად და ქალაქის სხვა და სხვა ადგილში გაჰგზავნეს. არავის არ უზრუნია, რომ ჯარსა და პოლიციას ერთად ემოქმედნა. ბაქოს მესამე ნაწილის ბოქაულს ნიჟარაძეს, რომლის საპოლიციო ნაწილშიაც ბაბაევი მოჰკლეს, პოლიცმეისტრისაგან არავითარი ინსტრუქცია არ მიუღია, თუ როგორ ემოქმედნა.

ბაბაევის მკვლის შემდეგ თათრებმა სროლა ასტეხეს. ისროდნენ სომხებიც. ამ დღეს საღამოს 11 საათამდის მოჰკლეს 40 კაცი, უმთავრესად სომხები.

ბოქაულ ნიჟარაძის სიტყვით, 6 თებერვალს მასთან მისულა დემინსკი და უბრძანებია, შეეკრიბა „გოროდოვოები" და ნება არავისთვის მიეცა ქუჩებში თავ-მოყრისა.

7 თებერვალს დილით დაიწყო სროლა. პოლიცმეისტერ დემინსკის განკარგულებაში ყაზახთა ერთი სოტნა და საერობო დარაჯები იყვნენ. ქუჩებში სიარულის დროს დემინსკის თან დასდევდა 50 ყაზახი და 6-7 საერობო დარაჯი. ამ დღეს დემინსკის თვალ-წინ შემდეგი ამბავი მოხდა. თათართა ქარვასლის ფანჯრებიდან თათრებმა სროლა დაუწყეს სომხებს. ერთი თათარი გამოვარდა ქარვასლიდან და სომეხს რევოლვერი ესროლა. დემინსკი კარგად ჰხედავდა ამ ამბავს, მაგრამ არავითარი ზომა არ მიიღო.

სასტუმროს „მეტროპოლი"-ს კარებიდან გამოიყვანეს დაჭრილი სომეხი. იქვე ახლო იყვნენ დემინსკი და ბოქაული ბოროდინი. ბიკოვმა ყური მოჰკრა, რომ ხალხი აღელვებულია პოლიცმეისტრის უმოქმედობით, მის თვალ-წინ კაცი მოჰკლეს, გვერდზე მკვლელმა გასისხლიანებულის ხანჯლით გაუარა და ყურადღება არ მიაქცია.

ცოტა ხნის შემდეგ დემინსკისთან მივიდა დამლუნის მოხელე ნიკოლოზ ბახმატოვი და სთხოვა, სახლში წასვლა მინდა და ყაზახები გამომაყოლეო. მიუხედავად იმისა, რომ დემინსკის საკმაო ჯარი ჰყავდა, ბახმატოვს უარი უთხრა. სწორედ ამ დროს სომხეთა ტაძარს მოუახლოვდა თათართა შეიარაღებული ბრბო. თათრები თოფებს ისროდნენ და თან ჰყვიროდნენ. ბახმატოვმა დემინსკის უსაყვედურა, რატომ ზომებს არ იღებთ, ხომ ჰხედავთ, რა ხდებაო. ამაზე დემინსკიმ ხელი ჩაიქნია, „თქვენი საქმე არ არისო", უპასუხა ბახმატოვს და თათრებს დონჯ-შემოყრილმა ყურება დაუწყო. ავშარ ტერ-სტეფანოვმა შენიშნა, რომ თათართა ბრბო სომხების დუქნებს მიესია. ტერ-სტეფანოვი დემინსკისკენ გაეშურა. დემინსკიმ ტერ-სტეფანოვის სიტყვებზე მარტო ხელი ჩაიქნია. დემინსკის ცოტა იქით იდგა ბაქოს ოლქის სასამართლოს პროკურორი ვორონოვი. ტერ-სტეფანოვმა ვორონოვს მიმართა. ტერ-სტეფანოვის სიტყვით, ვორონოვმა დემინსკის ყველაფერი გადასცა. დემინსკი იმის მაგივრად, რომ საგუბერნიო ქუჩისკენ წასულიყო, სხვა ადგილისკენ გაეშურა.

ვორონოვის სიტყვით, მას დემინსკისთვის მიუთითებია ერთ სახლზე, რომლის სახურავიდან სომეხი თათრებს ესროდა. ვორონოვს დემინსკისთვის ურჩევია სომხის დაპატიმრება და სახლის გაჩხრეკა. დემინსკის სახლის გაჩხრეკა და სომხის დაჭერა უბრძანებია ბოქაულ ბოროდინისათვის, თვითონ კი ჯარით და ყაზახებით სადღაც წასულა. ბოროდინმა ვერ შესძლო სახლის გაჩხრეკა და სომხის დაპატიმრება, რადგან დარაჯები თან არა ჰყავდა.

ამავე დღე, შუადღის 12 საათზე, 200 თათარი თავს დაეცა „ფანტაზიას" აბანოს. აბანოს კასირმა ნურიჯანოვმა დაინახა აბანოსკენ მომავალი გუბერნატორი

თა" სამარცხვინოდ. საბჭოს მოქმედებაში ვერა პოვეს-რა „რევოლიუციონური", დარწმუნდნენ მხოლოდ, რომ საბჭო ემსახურებოდა იმავე „კულტურულ" მიზანს, რომელსაც ემსახურება ყოველი თვით-მმართველობა და ურომლისოდაც არავითარ თვითმართველობას არავითარი მნიშვნელობას არა აქვს. კიდევ მეტი: საბჭო სპეციალურ კანონის-მიერ დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა: ხალხი ჯანმრთელობისა, ხალხის სწავლა-განათლებისა, გზებისა და ხიდების საქმესა და სხვა ამგვარს. მარტო ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ და მისმა „კამპანიამ" დაინახა ამ საბჭოს მოღვაწეობაში უცნაური და საეჭვო „ქველ-მოქმედება" „რევოლიუციად" გაზდილი და გაბერილი.

რაკი ამ „კამპანიამ" უნაყოფოდ ჩაიარა, სხვა იარაღს მოჰკიდეს ხელი.

ზემო მოყვანილიდან ცხადადა სჩანს, რომ ადგილობრივ მწარმოებელთა და უცხო ჩარჩთა და მათ წარმომადგენელ „პრიკაშჩიკთა" შორის გაცხარებული ბრძოლა იყო. ადგილობრივ მკვიდრთა დიდი უმეტესობა (90% მეტი) იმ აზრს ადგა, რომ საბჭომ სამრეწველო მოღვაწეობას გარდა ადგილობრივ „კულტურულ" საჭიროებასაც უნდა გაუწიოს ანგარიში; ამ მიზნის მიხედვით და ამის შესაფერად მარგანეცზე მრეწველთა კრების მიერ დადებული საფუთო გადასახადი უნდა იზრდებოდეს ხოლმე, ისე-კი რომ მრეწველობას არავითარი ზიანი არ მიეცეს.

უცხოელ ჩარჩებისა და მათის „პრიკაშჩიკების" ერთად-ერთი მოღვაწეობა, ერთად-ერთი იდეალი, ერთად-ერთი პროექტი, რომლითაც ისინი კრებაზე მობრძანდებოდნენ ხოლმე, ის იყო, რომ რაც შეიძლება შეკვეცილიყო ადგილობრივ კულტურულ საჭიროებისათვის გადადებული თანხა და საბჭო პროფესიონალურ წარმომადგენლობად გადაქცეულიყო.

თვით უმწვავესი მომენტი ამ ბრძოლისა 1903 წელს იყო. ამ დროს მოხდა თავდაუზოგავი შეტაკება, რომელიც გათავდა ადგილობრივ მწარმოებელთა არსებით გამარჯვებით, მაგრამ ამ დღიდანვე „უცხოელ ჩარჩებმა" დაიწყეს ურიგო ზომების მიღება: უსაფუძვლო საჩივრები სამინისტროში, დეპეშები სამთა-მადნო მმართველობაში, ინტრიგები ადმინისტრატიულ წრეებში და სხვ. ამ აურზაურს მოჰყვა ის, რომ სამინისტრომ, ცოტა არ იყოს, შესცვალა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების წესდება და ნორმალურ ტიპისაგან განასხვავა იმით, რომ ჭიათურის მრეწველთა კრებულის უფლებანი შეზღუდა: ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაში სამთა-მადნო მმართველობა გაურიეს, სარევიზიო კომისიის უფლებები გააფართოვეს (კომისიაში მთავრობის ორი წარმომადგენელი მიუჩინეს), საბჭოს თავმჯდომარეს სამინისტრო ამტკიცებს ამის შემდეგ, მიუხედავად ამისა, არსებითად გამარჯვებული მაინც ადგილობრივი მრეწველები დარჩნენ, ვინაიდან კრებაზე მონაწილეობის უფლება იმ დემოკრატიულის სახით დაამტკიცა სამინისტრომ, რომელიც ამ კრებაზე იქმნა შემუშავებული და მიღებული. მთელი შინაარსი ამ კანონისა იმაშია, რომ კრებაზე არავის არა აქვს ორის ხმის უფლების მეტი, მაშინ როდესაც წინანდელ კანონით ათ-ათი ხმა ჰქონდა თითოს და ათის კაცის გავლენა კრებაზე უდრიდა ასისა და ორასის თითო-ხმიანის გავლენას. ეს ათი ხმა კი უფრო უცხოელ ჩარჩ-ექსპორტერებს ჰქონდათ, ე. ი. იმათ, რომელნიც ეზიდებოდნენ ქვას საზღვარ-გარედ.

ეს დამარცხება მათ არ დაივიწყეს და რაკი აღარავითარმა საშუალებამ არ გასჭრა, კიდევ ერთ ცუდლუტურ ზომას მიმართეს. მოითხოვეს სამინისტროში, რომ მარგანეცის მრეწველთა კრება მოწვეულ იქმნას წრეულს, ოქტომბერში, სამინისტროს განკარგულებით; კრებას კი საბჭო იწვევს ხოლმე და მოწვევას მთელი თავისი პროცედურა აქვს. ასეთი ძალ-მომრეობა თვით-მმართველობაზე „ძველ რეჟიმის" დროსაც არ უკადრებია არავის, მაგრამ „კონსტიტუციონური მთავრობა" რიღას „კონსტიტუციონურ მთავრობა" იქნებოდა, რომ ყოველივე კანონიერება არ გადაელახა. და აკი საბჭოც იძულებულ-ჰყო, მოიწვიოს კრება მომავალ ოქტომბერში.

რომ იტყვიან, ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული. წლევანდელ კრებაზე იმათ ექმნებათ გადამწყვეტის ხმის უფლება, რომელთაც 1908 წელს დაუმუშავებიათ მარგანეციანი ადგილი და გადაუზიდავთ საქონელი. 1908 წელი კი მარგანეცის მრეწველობაში არა ჩვეულებრივი იყო. საშინელი კრიზისი იყო. თითქმის ჰაერიც კი გაყუჩებული იყო ჭიათურაში. აღარავითარი მუშაობა, რასაკვირველია, აღარ იყო. ადგილობრივი მწარმოებლები მეტად დიდ განსაცდელში იყვნენ. მაშასადამე, კრებაზე ადგილობრივ მწარმოებელს ხმა აღარ ექმნება, ვინაიდან მარგანეციანის ადგილების დამუშავება შეჩერებული იყო. მარტო „უცხოელი ჩარჩები" და ისიც ოთხი-ხუთი ფირმა—25—30 ძალის კონტრაქტების ძალით მარგანეცსა ჰგზავნიდნენ საზღვარ-გარეთ, ამიტომაც ამ კრებაზე ხმა მარტო იმათ ექმნებათ. სამას ოთხას მწარმოებლიდან და ექსპორტერიდან 21 ხმა არის და ეს 21 ხმა ეკუთვნის 11 ფირმასა და კაცს, მათ შორის ადგილობრივ მწარმოებელს ეკუთვნის სამი თუ ოთხი ხმა. მაშასადამე, ამ კრებაზე გადამწყვეტი ხმა ექმნებათ უცხოელ ჩარჩებს და მათ „პრიკაშჩიკებს", ხუთსა თუ ექვს კაცს. ასეთი ანორმალური კრება, სრულიადაც არ აწუხებს გამწვავებულ უცხოელ „პრიკაშჩიკებსა" და „კომისიონერებს" და ყოველგვარი ღონე იხმარეს, ამგვარი საზღაპრო კრება მოიწვიონ და ამ კრებაზე თხუთმეტის წლის ნამუშავარი და ნაღვაწი დაანგრიონ და მთელი ეს საქმე თვით ჩაიგდონ ხელში. და რომ მარტო ეს მიზანი აქვთ მათ, რომელიც მათ ასულდგმულებდა ყოველთვის, სჩანს მათგან სამინისტროში წარდგენილის პროგრამიდან. ამ პროგრამაში არავითარი „მრეწველობის განვითარებისთვის" საჭირო არ არის მოხსენებული და უმთავრესი მუხლია: საფუთო გადასახადის შემცირება და კრებაზე ხმის განაწილების წესის შეცვლა. ამ ხმის განაწილების წესიც წარმოადგინეს, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ კრება გახადონ უცხოელ ჩარჩთა სათარეშოდ და საბატონოდ.

სამწუხაროდ, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამ არა საკადრისს საქმესაც ხელს უწყობდა და ნიადაგს უმზადებდა. ჩვენ გავაცნობთ მკითხველს უცნაურსა და საოცარს დოკუმენტს, საიდანაც იგი დაინახავს, რომ ადმინისტრაციის კანცელიარია „ძველის ტიპისა" და ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ერთს ჰანგზედა მღერიან, ერთს კილოზედა ლაპარაკობენ და როგორც ძნელია გამოიცნოთ სად თავდება ბ-ნ ნ. ნიკოლაძის „კომერციულისა" და სხვა ჯურის „აგენტების" „ცოდნა ჩვენებურის საქმეებისა" და სად იწყება თვით ბ-ნ ნიკოლაძის „გამოცდილება", ისე ძნელია საზღვრის დადება იმის შორის, თუ რას ლაპარაკობს **ქართველი მწერალი, ქართველი ცნობილი პუბლიცისტი** და ქართველ ერის დაუძინებელი მტრები და მათი ბრმა მფარველი კანცელიარიის გამგეები.

არა მრეწველი.

(დასასრული(იქნება

ნაკაშიძე და პოლიცმეისტერი დემინსკი. გუბერნატორს თან ახლდა 60—70 ყაზახი, ნურიჯანოვმა ნაკაშიძეს დახმარება სთხოვა, მაგრამ პასუხი არ მიიღო. გუბერნატორი წავიდა. ნურიჯანოვმა ახლა დემინსკის მიმართა, დემინსკიმ ნურიჯანოვს უთხრა, „რა ვქნა, რა შემიძლიან მათ წინააღმდეგაო“, და წავიდა. ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით, ასლანოვის სახლის აკლების შემდეგ, დემინსკის შეუნიშნავს, რომ უცნობს ასლანოვის ავეჯულება მიჰქონდა. დემინსკის უცნობისთვის წაურთმევია ბოხჩაში გამოკრული ნივთები, თვითონ უცნობი კი გაუშვია. დემინსკის თვალწინ თათრები სომხებს ჰხოცავდნენ და იგი ყურადღებას არ აქცევდა. ზოგიერთი მოწმეს შემდეგი ფაქტი მოჰყავს: 8 თებერვალს კარადეგოვს, რომელიც სახლში ბრუნდებოდა, თათარმა სროლა დაუწყო. კარადეგოვმა თათარს იარაღი წაართვა და ყელში წაუჭირა. ამ დროს გაჩნდა დემინსკი, გაანთავისუფლა თათარი თანაც კარადაგოვს გამოართვა რევოლვერი და თათარს გადასცა.

თუმაევის სახლში სხვა და სხვა ეროვნების 50 კაცმა მოიყარა თავი და შველას თხოულობდნენ. მათ ყვირილზე გაჩნდა დემინსკი. დემინსკიმ თანხმობა განაცხადა სახლამდის მიგაცილებთო, მაგრამ გამოვიდა თუ არა რამდენიმე კაცი სახლიდან საიდგანაც ამ სახლს სროლა დაუწყეს დემინსკიმ მიანება თავი 50 კაცს და სადღაც წავიდა.

ამავე დღეს დასწვეს ლალაევის და ბაბაჯანოვის სახლები, დაიწვა 30 კაცი. არავის არ უფიქრნია, რომ საჭირო ზომები მიეღოთ და ხალხი გადაერჩინა.

პოლიცმეისტერის ასეთმა მოქმედებამ თავისი გავლენა იქონია ყაზახებზე და დარაჯებზე ისინი ამბობდნენ ნაბრძანები არ არის არეულობაში ჩავერიოთო.

პირველ ნაწილის ბოქაულიც ამ დროს მამედბეკოვი იყო. ამ ნაწილში იყო დადაშევის ქარვასლა. სწორედ ქარვასლაში მოიყარეს თავი თათრებმა და აქედან ესროდნენ სომხებს. მამედბეკოვი ამას ყურადღებას აქცევდა და გუბერნატორს მალმალე ახსენებდა. სომხები თათრებს ხოცავენო. გუბერნატორს ისე მოაწყინა თავი მამედბეკოვმა, რომ უთხრა „განა თათრები კი არა ხოცავენ სომხებსაო“? მოწმეს კაკარის სიტყვით, თათრებს პირველ ნაწილში იარაღი მიჰქონდათ და ამ ნაწილში რაღაც დოკუმენტებს და ფულებს აძლევდნენ.

ბოქაულ პოდგორნის თათრების მიკერძება ჰბრალდება: ზოგიერთ პირის შენიშვნაზე რაც ექომაგებით თათრებსო, პოდგორნი ამბობდა: „თქვენი საქმე არ არისო“. „ბაკ. იზვესტ.“ თანამშრომლის შარტახტინსკის სიტყვით, ოგაიანცის მაღაზიის აკლების დროს პოდგორნი და უბნის ზედამხედველი შარტასტინსკი (მოწმის ძმა) თავისთვის იდგნენ და ყურადღებასაც არ აქცევდნენ ამ ამბავს. როდესაც კაპიტანმა ბახმატოვმა პოდგორნის უთხრა მაღაზიის გადასარჩენად ჯარი წაიყვანეთო, პოდგორნიმ უარი განაცხადა დახმარებაზე. შემდეგში ბახმატოვი ჯარში დააბრუნეს და იმის ადგილას ბაქოს ქუჩებში სხვა გაგზავნეს. ყველაფერი ეს პოდგორნის მეცადინეობით მოხდა—ბახმატოვი სომეხია და სომხებს ეშველებაო პოდგორნიმ ყურადღება არც კი მიაქცია, როდესაც ბაბაჯანოვის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. მართალია ბაბაჯანოვის სახლთან მალე ჯარი გაჩნდა, მაგრამ მან უკან დაიხია და ბაბაჯანოვის სახლი ღვთის ამარად დააგდო. როდესაც პოდგორნი თათრებს იჭერდა, იარაღს უბრუნებდა და ანთავისუფლებდა, ესე მოიქცა ლალაიანცის და საფაროვის მაღაზიების გაცარცვის დროსაო, საბრალმდებლო ოქმი.

ბოქაულს ნიჟარაძეს და მის თანაშემწეს სულთანოვს ჰბრალდებოდათ, რომ მათ განკარგულებაში 20—30 ყაზახი იყო და სამი დღის განმავლობაში ხელიც კი არ გაუნძრევიათ, თუმცა არც ქვეითები სთხოვდნენ—„წავიდეთ, ხალხი გადავარჩინოთო“. ამას გარდა სულთანოვს ჰბრალდება 10 შეიარაღებული თათრით ბაქოში სიარული.

ბოქაული ბოროდინი, მოწმეთა სიტყვით, ისე იქცეოდა, თითქოს მის მოვალეობას არ შეადგენდა არეულობის ჩაქრობა. მან ხელიც კი არ გაანძრია, როდესაც იმის თვალ-წინ თათარი მოჰკლეს. როდესაც პრაპორშჩიკმა ტერ-გევორკოვმა ბოროდინს უთხრა, ვორონცოვის ქუჩიდან თათრები ისვრიანო, ბოროდინმა უპასუხა: „რა ვქნათ, სომხებიც ისვრიანო“.

კრასილნიკოვის სახლიდან თათრებს ესროდნენ. ბოროდინმა აფიცრის რჩევაზე—სალდათები წავიყვანოთ და სახლი გავჩხრიკოთო, სთქვა—«კრესტოვნიკოვის სახლი ჩემ ნაწილში არ არისო».

უბნის ზედამხედველ მახტატინსკის ჰბრალდება ოგანესიანცის მაღაზიის აკლების დროს უმოქმედობა. იმის თვალწინ მაღაზიას სძარცვავდნენ და იგი მხოლოდ უბრალოდ მაყურებელივით იდგა.

როგორც სხვებს, ისე ბალახანის პოლიცმეისტრად ნამყოფ ხომიცკისაც უმოქმედობა ჰბრალდება. ბალახანაში ბაბაევის მოკვლისთანავე თათრები ყალყზე დადგნენ. სომხები ისე შეშინდნენ, რომ ღამე გარედ აღარ გამოდიოდნენ. 8 თებერვალს სომხები თავს დაეცნენ რამდენსამე თათარს. ხომიცკი თათრებს ურჩევდა, შეიარაღდით და თქვენი თავი თქვენვე დაიცავითო. მთავრობას ხომიცკი ახსენებდა; „სომხები თათრებს თავს დასხმას უპირებენო“. სომხების შეჩივლებაზე, ხომიცკი ასე ანუგეშებდა მათ: „თქვენ იარაღს არავინ მოგცემთ, იჯექით სახლებში და ილოცეთო“.

9 თებერვალს ბალახანაში პოლიცმეისტერს უნდა მოეწვია შემრიგებელი კომისია, მაგრამ ხომიცკი არა ჩქარობდა. 10 თებერვალს ხომიცკი სადგურზე წავიდა, შემრიგებელ კომისიის დასახვედრად. გზაში მოახსენეს, რომ თათრები ფითოევის ქარხნებს დაეცნენო. პოლიცმეისტერმა ყურიც არ ათხოვა ამას და სადგურზე წავიდა. როდესაც კომისია ბალახანაში მოვიდა, ფითოევის ქარხანაში 20 მოკლულის გვამი ნახა. ამის გამო კომისიისაგან ბევრი შენიშვნა მიიღო ხომიცკიმ. ხომიცკიმ ეს იუკადრისა და გუბერნატორს ნაკაშიძეს სთხოვა, ნება მომეცით სამსახურიდან გადავდგე, რადგან შეურაცხყოფა მომაყენეს და მეშინიან კიდეც, არ მომკლანო.

საბრალმდებლო ოქმით 6-10 თებერვალს მოუკლავთ: 201 სომეხი, 40 თათარი; 8—სხვა და სხვა ეროვნებისა დაუჭრიათ: 26 სომეხი, 55 თათარი და 16 სხვა და სხვა ეროვნებისა. გაუძარცავთ და აუკლიათ 93 დუქანი.

ამას გადმოგვცემს საბრალმდებლო ოქმი. საქმის გარჩევა უთუოდ რამდენსამე დღეს გასტანს.

უცხოეთი

ლორდები და ბიუჯეტი.

ინგლისი ამ ჟამად მეტად სერიოზულ კრიზისს განიცდის: იქ დიდი ბრძოლაა ატეხილი ბიუჯეტის თაობაზე, ხოლო ამ ბრძოლასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლისის პოლიტიკურ და სოციალურ განვითარების ბედიც. ამიტომ ინგლისის ეხლანდელ ამბებს მთელი ევროპაც დიდის ინტერესით ადევნებს თვალსა.

ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დამდეგიდან ინგლისში წესად დაიდვა, რომ ყველა საფინანსო კანონ-პროექტი პირველად დეპუტატთა პალატას უნდა განეხილა, რადგან მარტო იგია ხალხის წარმომადგენელიო. ლორდთა პალატის როლი საფინანსო საქმეებში თანდათან მცირდებოდა და 1678 წელს კარლოს მეორეს მეფობის დროს დეპუტატთა პალატამ დაადგინა, რომ საფინანსო კანონ-პროექტების გაუქმების უფლება არა აქვს ლორდთა პალატასაო. პარლამენტის პრაქტიკამ თანდათან დაამკვიდრა ეს დადგენილება; აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლორდებს მაინც ჰქონდათ უფლება საფინანსო კანონ-პროექტების უარყოფისა, თუმცა ლორდთა პალატა ძლიერ იშვიათად სარგებლობდა ამ უფლებით. 1860 წელს მან გაბედა და უარ ჰყო გლადსტონის მიერ შეტანილი და დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონ-პროექტი, რომლითაც გაუქმებული იყო ქაღალდის გადასახადი. ლორდები ამ შემთხვევაში ისე საფინანსო მოსაზრებით არა ხელმძღვანელობდნენ, როგორც შიშით, რომ ამ გადასახადის გაუქმება გაზეთების გაიაფებას შეუწყობს ხელსაო. მით მაინც დეპუტატთა პალატამ ძლიერ იწყინა ამ კანონ-პროექტის უარყოფა, ეს გარემოება თავის უფლების შელახვად ჩასთვალა და შემდეგი რეზოლიუციები მიიღო:

1. გადასახადების დაწესების უფლება აქვს მხოლოდ დეპუტატთა პალატას.

2. თუმცა ლორდთა პალატა ხან-და-ხან სარგებლობდა თავის უფლებით და საფინანსო კანონ-პროექტებს უარჰყოფდა ხოლმე, მაგრამ დეპუტატთა პალატა მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ამ უარყოფით ლორდები ამცირებენ ხალხის წარმომადგენლების უფლებას.

3. ლორდთა პალატა ამიერიდან უნდა გაფრთხილდეს და ასე აღარ მოიქცეს.

მეორე წელს გლადსტონმა ყველა თვითოეული საფინანსო კანონ-პროექტები, მათ შორის ის კანონ-პროექტიც, რომლითაც ქაღალდზე გადასახადი იყო გაუქმებული, ერთ კანონ-პროექტად შეაერთა და ლორდთა პალატამ ვეღარ გაბედა მთელის ბიუჯეტის უარყოფა და ამით ხალხის აღელვება; მან დაამტკიცა გლადსტონის კანონ-პროექტი და მას აქეთ აღარ ყოფილა მაგალითი, რომ ლორდთა პალატას შეეცვალოს ან უარეყოს საფინანსო კანონ-პროექტი, თუმცა ლორდები ხან-და-ხან განხილვის დროს კრიტიკას-კი გაუკეთებდნენ ხოლმე მის ზოგიერთ მუხლს. ასე მოიქცნენ ლორდები, მაგალითად, ჰარკორის საფინანსო კანონპროექტის განხილვის დროს 1894 წელს, რადგან ეს კანონპროექტი ძლიერ საზარალო იყო მდიდარ ხალხისთვის.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ლორდთა პალატა ამ ჟამად უფრო თამამად მოიქცევა და გაჰბედავს იმას, რაც ვერ გაბედა 15 წლის წინად: იგი უარჰყოფს ბიუჯეტს. ბიუჯეტის უარყოფა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს დეპუტატთა პალატის დათხოვნას და ახალ არჩევნების დანიშვნას, ხოლო ახალ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ექნება ინგლისის პოლიტიკურ განვითარებისთვის, რადგან მაშინ ინგლისის დემოკრატია გაბედვით მოითხოვს ლორდთა პალატის საკანონმდებლო უფლების შეზღუდვას. („რ. ვ.“)

ღია წერილი ბებელს.

გერმანულ ჟურნალ „მარც“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი გერმანიის რეიხსტაგის ლიბერალ დეპუტატის კონრად გაუსმანისა ბებელისადმი. გაუსმანი მეგობრულ კილოთი სწერს, როგორც კაცი, რომელსაც სწყურიან გერმანიის პროგრესიული განვითარება და ჰსურს დაბრკოლების აცილება წარმატების გზიდან,—ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად გაუსმანს მიაჩნია განხეთქილება სოციალ-დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის. იგი არ უარჰყოფს ლიბერალების დანაშაულსაც, მაგრამ ამავე დროს არა ერთს საყვედურს უთვლის სოციალ-დემოკრატებს. ბებელს გაუსმანი მიჰმართავს როგორადაც სოციალ-დემოკრატიის გავლენიან მეთაურს, რომელმაც ამას წინად რეიხსტაგში და პარტეიტაგის დროს მთელი თავისი ავტორიტეტი მოიხმარა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გონივრულ თვალით შეეხედნა მემკვიდრეობაზე გადასახადის პროექტისთვის. უცხადებს რა ამისათვის მადლობას, გაუსმანი სთხოვს ბებელს—თავისი გავლენა მოიხმაროს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია პრაქტიკულ მუშაობის გზას დაადგესო.

გაუსმანი შემდეგ აზრთა წინააღმდეგობას აბრალებს სოციალ-დემოკრატებს: „პარტია,—სწერს იგი,—პოლიტიკურ ბრძოლას ისე აწარმოებს, როგორც კლასთა ბრძოლას; იგი ადევნებს კლასთა ბრძოლას, ამით უარესად აძლიერებს კლასიურ განხეთქილებას და მთელ ერს ჰყოფს გადამტერებულ კლასებად, თავის პროგრამაში-კი პარტია აცხადებს, რომ იგი იბრძვის კლასებისა და კლასიურ ბატონობის მოსპობისთვისო. ეს ცხადი წინააღმდეგობაა, რომელსაც გრძნობს ყოველი სოციალისტი თუ არა სოციალისტი; და თქვენ თითონაც, პატივცემულო კოლეგავ, ვერ უარჰყოფთ, რომ სოციალ-დემოკრატების გამარჯვება ამ ჟამად იქნებოდა მომასწავებელი ერთის კლასის გაბატონებისა და რომ პარტიის ბევრს გულმხურვალე მომხრეს გულითაცა ჰსურს ეს ბატონობა“.

მერე გაუსმანი უსაყვედურებს სოციალ-დემოკრატებს, რომ თუმცა ისინი თავიანთ მოპირდაპირების შეუგუებლობას ჰკიცხავენ, მაგრამ მათ თითონაც თავიანთ საკუთარ წრეში ახალი დოგმატიზმი დააწესესო. აგიტაციასა და პოლემიკაში სოციალ-დემოკრატები ისეთ ხერხებსა და საშუალებას ხმარობენ, რომ ამდაბლებენ და არ ამაღლებენ ხალხის კულტურულ განვითარებას. სოციალ-დემოკრატია ცდილობს სინათლე და სიხარული შეიტანოს ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ მარტო სიძულილისა და ბრაზის ქადაგებით,—თუმცა ეს გრძნობები რამოდენადმე საჭიროცაა, შენიშნავს გაუსმანი,—სოციალ-დემოკრატია სიცოცხლის ხალისს უკარგავს ხალხსაო. დასასრულ, ლიბერალი დეპუტატი ტაქტიკის უნაყოფობას უსაყვედურებს უკიდურეს მემარცხენეს.

ამ წერილმა გაცხარებული პოლემიკა გამოიწვია გერმანულ პრესაში. სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „ფორვერტს“-მა, რომელიც უკიდურეს სოციალ-დემოკრატების ხელშია, მხოლოდ რამდენიმე დაცინვა უძღვნა გაუსმანის წერილს. თითონ ბებელს, როგორც ამბობენ, კერძო წერილი მიუწერია ლიბერალ დეპუტატისთვის. გაუსმანის წერილი, რასაკვირველია, პირდაპირ გავლენას არ იქონიებს პარტიათა ურთიერთობაზე, მაგრამ იგი ნიშანია იმისი, თუ რა ძლიერად გრძნობენ გერმანიაში, რომ ამ ჟამად აუცილებლად საჭიროა მემარცხენე პარტიების შეერთება კონსერვატიულ-კლერიკალურ რეაქციის წინააღმდეგ. („რ. ვ“)

განცხადებანი

კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავა ე.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებით, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—183)

ბ. ზ. კობიაშვილს.
ბ. ზ. კობიაშვილი გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში ორჯელ. მაგრამ არც ერთხელ არ ინება გამოსვლა (იხ. „ალი“ N 42 და „Закавказье“, N 5). ბ. ზ. კობიაშვილის მიერ ფეხის უკან დადგმა თავისთავადაც ბევრს ლაპარაკობს მის საზარალოდ, ხოლო მე მაინც მესამედ ვიწვევ და ვსთხოვ სამი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ეს წერილი გამოქვეყნდება, აირჩიოს მედიატორეები და დაასახელოს კიდევაც ისე, როგორც ჩემი მედიატორეები არიან დასახელებულნი. უკეთუ მესამეჯერ გამოწვევაც არ მიიღო ბ. ზ. კობიაშვილმა, მაშინ, ვგონებ, ნება მექნება დავარქვა ის სახელი, რისაც ღირსი იქნება მისი საქციელი.
(1—6.—1) ქეთევან შაბუროვისა.

დაიბეჭდა ქართული პიესები: „უშნო არშიყი“, კომ. 3 მოქმ., „სოფიო“, ვოდევ. 1 მოქმ., „დუქნის ოთახში“, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.
იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—25)

სასახლის ქ., თავად-აზნაურთა სახ
ში, კერძო საამქციონო ზალაშ
[illegible]
განყოფილება
მოძრავ ქონების დასაგირავებლა
ოპერაციები ხდება დილის 9-
შუადღის 12 საათამდე, კვირა-
მეებს გარდა. (5—462—

იაფად იყიდება სრული
თხზულება
ია ეკალაძისა
(ი. ცინცაძისა)
ავტორის სურათით და მოკლე ბიოგ
ფიით. მანეთიანი იყიდება 60 კაპ., ვინ
ც. მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 50
წიგნის დაბარება და ყიდვა შეიძლება
ადრესით: ტფილისი, ქ. შ. წერა-კითხ
საზოგადოება, ვ. ედილაშვილი. (6. 10—

რადგან ვიღაც გოროტ-მოქმედნი ქალ
ქის წყლის მილის აბონენტებს ჰპარავე
წყლის საზომებს და ისრებს ამრუდებენ, ამიტომ
ტფილისის ქალაქის გამგეობ
ამით აცხადებს, რომ სახლის პატრონებმა წყლის საზომთან არავინ
უნდა მიუშვან, იმათ გარდა, ვისაც მოწმობა ექნება იმისა, რომ შე
ლიან გახსნას წყლის საზომი. (3—6.—

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა.
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.
ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.
სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.
უცხო ენები. საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის.
პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.
(20—ზალ.—19)

ტ. მ. ფილოიანის
საკომერციო ცოდნის კურსებზე
(მიხეილის პროსპ. N 24/4).
ასწავლიან ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს. თავისუფლა
კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიუ
და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შეს
სწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.
(20—ხალ.—20)

პროვოდნიკის
ФАБРИЧ. Р Ф В КЛЕЙМО
ПРОВОДНИКЪ
Т Р РИГА
1897 წ.
1888
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
რეზინის საეკიპაჟო შინები,
პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),
პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,
მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.
„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.
ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.